



# MEDIA FREEDOM RAPID RESPONSE

## პრაქტიკული მხარდაჭერა ჟურნალისტებისთვისა და მედიის წარმომადგენლებისთვის

როდესაც ჟურნალისტებსა და მედიის წარმომადგენლებს საქმიანობაში ხელს უშლიან, ან ისინი საკუთარი საქმიანობის შესრულებისას თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ, საზოგადოება იმ მიუკერძოებელ და მნიშვნელოვან ინფორმაციაზე წვდომის გარეშე რჩება, რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის. სწრაფი რეაგირება მედიის თავისუფლებისთვის (MFRR) პროექტის ფარგლებში, თავისუფალი პრესა შეზღუდვების გარეშე (FPU) და პრესისა და მედიის თავისუფლების ევროპული ცენტრი (ECPMF) ჟურნალისტებსა და მედია წარმომადგენლებს ევროკავშირის წევრ და კანდიდატი ქვეყნებიდან პრაქტიკულ მხარდაჭერას სთავაზობენ. ჩვენ შეგვიძლია დახმარება გავუწიოთ მედიაპროფესიონალებს, რომლებსაც საკუთარი უმნიშვნელოვანესი საქმიანობის გამო სხვადასხვა სახის საფრთხე ემუქრებათ, იქნება ეს ძალადობა, შევიწროება თუ დაშინება.

### მხარდაჭერა

მედიაპროფესიონალებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ შეიგნონ განაცხადი შემდეგი სახის მხარდაჭერის მისაღებად MFRR-ის პროექტის ფარგლებში :

<p><b>სამედიცინო დახმარება</b></p> <p>დაზიანებებისთვის, რომლებიც ჟურნალისტებმა პროფესიული საქმიანობის შესრულებისას მიიღეს</p>	<p><b>საარსებო წყაროები</b></p> <p>მოკლევადიანი მხარდაჭერა ჟურნალისტებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ მუშაობა ან იმ ხარჯების დაფარვა, რომლებიც დაკავშირებულია არაუსაფრთხო გარემოს დროებით დატოვებასთან</p>	<p><b>ფსიქოლოგიური მხარდაჭერა</b></p> <p>რჩევა, მიმართვა ექიმთან და სახსრები ფსიქოსოციალური დახმარებისთვის, პოსტტრავმული სტრესული აშლილობისა და მეორადი ტრავმული სტრესული აშლილობის მკურნალობის ჩათვლით</p>
<p><b>სამუშაო საჭიროებები</b></p> <p>ციფრული ინსტრუმენტები, როგორცაა VPN, ონლაინ უსაფრთხოების გაძლიერებისთვის და, განსაკუთრებულ შემთხვევებში, სამუშაო მასალები</p>	<p><b>ოჯახის მხარდაჭერა</b></p> <p>დროებითი მხარდაჭერა შრომისუნარო, პატიმრობაში მყოფი ან გარდაცვლილი ჟურნალისტების ოჯახის წევრებისთვის</p>	<p><b>უსაფრთხოების პრევენციული ზომები</b></p> <p>რესურსები და მასალები, რომლებიც ეხმარება ჟურნალისტებს თავი დაიცვან საფრთხეებისგან ონლაინ და ოფლაინ</p>

### რომელ ხარჯებს ვფარავთ

MFRR პრაქტიკული მხარდაჭერა სხვადასხვა სიგუაციაზეა გათვლილი. თითოეული შემთხვევა დეტალურად განიხილება და დახმარება მორგებულია ჟურნალისტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. გარდა ამისა, არ არის დაწესებული მინიმალური ბარიერი, რომლის გადალახვაც მოგეთხოვებათ. თუმცა, საფრთხის გიპის თვალსაზრისით, ამ დრომდე ინდივიდებმა და ორგანიზაციებმა მიიღეს პრაქტიკული მხარდაჭერა შემდეგ შემთხვევებში:

- ფინანსური დახმარება ჟურნალისტების იმ ალტერნატივების შესაცვლელად, რომელიც დაზიანდა პოლიციის, უსაფრთხოების სამსახურის ან უცნობი მესამე მხარის მიერ;
- ციფრული ინსტრუმენტების უზრუნველყოფა, როგორცაა VPN, დაშიფრული მყარი დისკები, ორფაქტორიანი ავტორიზაციის გასაღები და ვებკამერის საფარი, იმ ჟურნალისტებისთვის, რომელთა უსაფრთხოებას, პერსონალურ მონაცემებსა და ციფრულ მთლიანობას საფრთხე ემუქრება თვალთვალისა ან ფარული მოსმენის სახით;
- ჟურნალისტებისა და მედია წარმომადგენლების დამცავი ალტერნატივებით უზრუნველყოფა მაღალი რისკის შემცველ სიტუაციებში, როგორცაა კონფლიქტური და პოსტკონფლიქტური რეგიონები, საპროტესტო აქციები და არჩევნები;
- საფრთხის შემცველი გარემოს ღრობით დაგოვებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა ძალადობის მუქარის, დაშინების, სარჩელის ან ცენზურის გამო.
- ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა თავდასხმის ან გრავამული მოვლენის გადაგანის შემდეგ. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას (PTSD) ან მეორად გრავამულ სტრესულ აშლილობას (STSD).

### საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- ხართ მედია ორგანიზაცია ან მედიაპროფესიონალი ევროკავშირის წევრი ან კანდიდატი ქვეყნიდან (მათ შორის გაერთიანებული სამეფოდან);
- თქვენი განსაკუთრებული შემთხვევა პირდაპირ არის გამოწვეული თქვენი, როგორც მედიაპროფესიონალის, საქმიანობით;
- თქვენ გესმით, რომ დახმარება არ იქნება გრძელვადიანი;
- თქვენ გესმით, რომ ჩვენი დახმარების მიზანია, შეძლოთ დაუბრუნდეთ საქმიანობას უმოკლეს დროში;
- თქვენი მდგომარეობა შეუძლია დაადასტუროს ორმა სანდო წყარომ.

### განაცხადის შეგანა

დახმარების მიღებად, მიჰყვით ბმულს და შეავსეთ განაცხადი:

<https://www.freepressunlimited.org/en/projects/reporters-respond-emergency-funding-for-the-media>

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: [helpdesk@ecpmf.eu](mailto:helpdesk@ecpmf.eu) ან [reportersrespond@freepressunlimited.org](mailto:reportersrespond@freepressunlimited.org)

სწრაფი რეაგირება მედია თავისუფლებისთვის (MFRR) არის მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს აღმოჩინოს, დააკვირდეს და რეაგირება მოახდინოს პრესისა და მედია თავისუფლების დარღვევებზე ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებში. პროექტის ფარგლებში, სამიზნე ორგანიზაციები და ინდივიდები იღებენ იურიდიულ და პრაქტიკულ დახმარებას, საზოგადოებრივ დაცვასა და ინფორმაციას. MFRR ორგანიზებულია კონსორციუმის მიერ, რომელსაც უძღვება პრესისა და მედია თავისუფლების ევროპული ცენტრი (ECPMF) შემდეგ ორგანიზაციებთან ერთად: ARTICLE 19 Europe, ჟურნალისტთა ევროპული ფედერაცია (EFJ), თავისუფალი პრესა შემლუღების გარეშე (FPU), პრესის საერთაშორისო ინსტიტუტი (IPI) და CCI/Osservatorio Balcani Caucaso Transeuropa (OBCT). პროექტი ხორციელდება ევროკომისიის თანადაფინანსებით. [www.mfrr.eu](http://www.mfrr.eu)

## MEDIA FREEDOM RAPID RESPONSE

